ПРОЛЕТАРИИ ВСЕХ СТРАН, СОЕДИНЯЙТЕСЬ!

კომუნისტი

СССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 198 (19639) ◆ პარასკევი, 29 აგვისტო, 1986 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

შეუვასრულოთ წლის დავალება

საქმეგია საქართველოს მეჩაიეთა მისწრაფება გააუმჯობესონ პროდუქციის ხარისხი. მაგრამ ჩაის ფოთლის კრეფისა და გადამუშავების წლიური გეგმის შესრულება — ეს მთავარი ამოცანაა. ჩვენი რესპუბლიკა კვლავინდებურად არის საბჭოთა ბაზარზე ჩაის ძირითადი მიმწოდებელი. მას ელის ქვეყნის მოსახლეობა.

ასეთი იყო ზუგდიდში გამართული მეჩაიეობის რაიონების პარტიის რაიკომების პირველი მდივნების, აგრომრეწვისა და მისი სამსახურების ხელმძღვანელი მუშაკების, აგროსამრეწველო გაერთიანებათა თავმჯდომარეების, მეცნიერების თათბირის ლიტმოტივი. თათბირმა განიხილა დარგში ახლანდელი მძიმე ვითარება, დასახა ჩაის ფოთლის კრეფის წლიური დავალების შესრულების კონკრეტული ღონისძიებანი.

თათბირი გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ნ. ა. ჭითანავამ. მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, რესპუბლიკის სახაგრომრეწვის თავმჯდომარემ გ. დ. მგელაძემ.

თათბირზე გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჯ. ი. პატიაშვილი.

მეტად არახელსაყრელმა ამინდის პირობებმა, — აღინიშნა თათბირზე, — შეანელა ჩაის ფოთლის ნორმალური ზრდა და განვითარება. ამას დაემატა მეჩაიეობის რაიონების პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებისა და სახაგრომრეწვის სამსახურების მიერ დაშვებული გარკვეული ხარვეზები ჩაის ფოთლის მომდევნო კრეფის პროცესში. ვითარება გაართულა იმანაც, რომ ბოლო რამდენიმე წლის მანძილზე არ ხორციელდებოდა საჭირო აგროტექნიკური ღონისძიებანი. და აი შედეგი: 25 აგვისტოსათვის რესპუბლიკაში მოკრეფილია 320 ათასი ტონა ჩაის ფოთოლი, ანუ გეგმის 58 პროცენტი. შარშანდელი წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით განსხვავებამ თითქმის ასი ათასი ტონა შეადგინა.

ძირითად მიზეზებს შორის, რომლებსაც ამგვარი საქმის ვითარება მოჰყვა, თათბირის მონაწილეებმა დაასახელეს ისიც, რომ სათანადოდ, რაციონალურად არ ანაწილებდნენ ადამიანებს, ტექნიკურ საშუალებებს, სრულად, უდანაკარგოდ ვერ ითვისებდნენ ნედლეულის რესურსებს. მაგალითად, ზუგდიდის რაიონში ჩამორჩენამ შარშანდელთან შედარებით შეადგინა 13 ათასი ტონა ჩაის ფოთოლი, ქობულეთის რაიონში — 11 ათასი ტონა, ლანჩხუთის რაიონში — 7 ათასი ტონა. სამუშაოთა ტემპი შეანელეს გეგეჭკორის, ხობის, ცხაკაიას, ჩოხატაურის რაიონებში. მაგრამ ყველაზე მძიმე ვითარება შეექმნა მახარაძის რაიონში, სადაც მზადდება რესპუბლიკაში წარმოებული ჩაის დაახლოებით მეხუთედი. აქ შარშანდელ დონეს 31 ათასი ტონით ჩამორჩებიან.

საოცარია, მაგრამ ფაქტია: მუშახელის დეფიციტის პირობებში აგროსამრეწველო გაერთიანებები სათანადოდ არ ზრუნავენ ჩაის ფართობების გაზრდისათვის, სადაც შეიძლება გამოიყენონ მექანიზებული საშუალებები. გადიდებას საჭიროებს ჩაის საკრეფი მანქანებისა და ხელის აპარატების გამოყენების ეფექტიანობა. ამიტომ საკვირველი არ არის, რომ ჩაის ფოთლის მექანიზებული კრეფის დაგალება რესპუბლიკაში ჯერჯერობით მხოლოდ 28 პროცენტით არის რეალიზებული.

რა თქმა უნდა, ძნელია, ვიმოქმედოთ ტექნიკური ხარვეზების დეფექტების პირობებში, რომლებიც ჯერ კიდევ აქვს ჩაის საკრეფ ტექნიკას. მაგრამ, ხაზგასმით აღინიშნა თათბირზე, იქ, სადაც საქმეს ცოდნით ხელმძღვანელობენ მის ექსპლოატაციას, მექანიზატორთა მომზადებას, შემოქმედებითად უდგებიან საქმეს, შედეგებიც არ აყოვნებს. ამაში გვარწმუნებს, კერძოდ, ქობულეთის რაიონის, ორხევისა და ჩაქვის ჩაის საბჭოთა მეურნეობების, ზუგდიდის რაიონის ინგირისა და ზედა ეწრის და ზოგიერთი სხვა ჩაის საბჭოთა მეურნეობის საქმიანობის პრაქტიკის მაგალითები. აქ ფოთლის კრეფის მაჩვენებელი ერთ მობილურ მანქანაზე გაანგარიშებით 12-15 ტონით აღემატება საშუალო რესპუბლიკურ მაჩვენებელს, ხოლო ხელის აპარატით კრეფისა — 1,7-2,3 ტონით. ამ მეურნეობებში ნედლეულის მექანიზებული კრეფის ხვედრითი წილი [illegible] ოროცენტს [illegible] ძირითადად, თავს აბრუებენ მეტ ნედლეულის მიღებასა და დამუშავებას. მაგრამ აქაც არის სერიოზული პრობლემები და ხარვეზები. ჩაის პირველადი გადამუშავების ფაბრიკების არასაკმარისი ტექნიკური აღჭურვილობა, ტექნოლოგიური რეჟიმის დაცვის დაბალი დონე არ იძლევა იმის საშუალებას, რომ მთლიანად გამოავლინონ დარგის განვითარების რეზერვები. ამ საწარმოებში ხშირად მიმართავენ ნედლეულის გადამუშავების დაჩქარების შეუწყნარებელ მეთოდებს.

სეზონის დამლევამდე დარჩენილ დროში, აღინიშნა თათბირზე, რესპუბლიკის მეჩაიეთა წინაშე დგას სერიოზული ამოცანები: გეგმის შესრულებისათვის საჭიროა მოვკრიფოთ 231 ათასი ტონა ფოთოლი. დასახულის წარმატებული რეალიზაცია ბევრად არის დამოკიდებული ადგილებზე მოსავლის კრეფის უნარიან ორგანიზაციაზე, შრომითი რესურსების მობილიზაციაზე, საშემსრულებლო დისციპლინის განმტკიცებისათვის პასუხისმგებლობის გადიდებაზე. საჭიროა აგრეთვე გაცლებით მეტი ეფექტიანობით გამოვიყენოთ ჩაის საკრეფი მექანიზმები, დავნერგოთ მუშაკთა მატერიალური სტიმულირების კარგად მოფიქრებული ფორმები და მეთოდები.

მესამე ვეგეტაციის ვადა უამინდობამ სექტემბრისათვის „გადასწია“. ამიტომ საჭიროა იქნება განსაკუთრებით დაძაბულად, სრული უკუგებით ვიმუშაოთ ოქტომბერში. ამასთან დაკავშირებით თათბირის მონაწილეებმა მოიწონეს საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ინიციატივა ჩაის კრეფაზე რამდენიმე კომკავშირული შაბათობის მოწყობის შესახებ.

დასახული პროგრამის რეალიზაციაში გადამწყვეტი როლი განეკუთვნება რაიონულ პარტიულ კომიტეტებს. მათ მთელი პრინციპულობით უნდა მოჰკიოხონ აგროსამრეწველო და ჩაის საწარმოო გაერთიანებების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობის ხელმძღვანელებს, ჩაის ფაბრიკების დირექტორებს, სპეციალისტებს, ყველაფერი იღონონ, რათა დაძლიონ ჩამორჩენა, წარმატებით შესრულონ წლის დავალებანი. განსაკუთრებით საჭიროა დავაჩქაროთ შრომის ორგანიზაციის მოწინავე გამოცდილების დანერგვა, კერძოდ, სამეურნეო ანგარიშის რგოლებისა და ბრიგადების შექმნა. უნდა ვიზრუნოთ მოწინავეთა და წარმოების ნოვატორთა, სოციალისტური შეჯიბრების მოწინავეთა მატერიალური სტიმულირების უფრო ქმედითი ფორმების გამოყენებისთვისაც.

თათბირზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ წლევანდელი სეზონი მეჩაიეებისათვის, გადამშეშავებელი მრეწველობის მუშაკებისათვის სიმწიფის, მაღალი შეგნების კიდევ ერთი გამოცდაა. ყველა გამოსვლაში გაისმოდა რწმენა, რომ ამ გამოცდას დარგის მშრომელები პირნათლად ჩაბარებენ და თავს გაართმევენ დავალებებს, ყოველ ღონეს იხმარენ სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა წარმატებით შესრულებისათვის.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ ამხანაგები ბ. ვ. ადლეიბა, გ. გ. გუმბარიძე, ვ. რ. პაპუნიძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის განყოფილების გამგე რ. ბ. მემარნიშვილი, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჯ. ვ. მარგველიძე. (საქინფორმი).

გამოცდილების გაზიარებისა და ტიპიური შეცდომების ასაცილებლად

ესტონეთის სსრ, ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო

ძიება, ინიციატივა, პასუხისმგებლური შრომა

ასე აღწევენ წარმატებებს ესტონელი ადგილობრივი მრეწველობის მუშაკები

საოცრად მიმზიდველი და ლამაზია ზაფხულის მზიან დღეებში ესტონეთის მიწა-წყალი, რომელსაც თვალლეწვდენ საბჭოთის ტერიტორიის მხოლოდ 0,2 პროცენტი უჭირავს და 1,5 მილიონი ადამიანი ცხოვრობს. ყოველ სტუმარზე უთუოდ თავისებურად განუმეორებელ შთაბეჭდილებას მოახდენს სიმწვანეში ჩაფლული მისი კოხტა დიდქალაქი ტალინი — ძველი და თანამედროვე არქიტექტურის ორგანული შეხამების ერთ-ერთი საუცხო ნიმუში.

ბევრი რამ იტაცებს აქ უცხო თვალს: მუდამ სუფთა და გაწკრიალებული ქუჩები და მოედნები, მზრუნველი ხელით ნასთუოთვი გაზონები, ბაღები, სკვერები, დღევანდელობის მჩქეფარე რიტმისა და მაჯისცემისათვის ერთი შეხედვით თითქოდა შეუფერებელი აუჩქარებლობა, სიდინჯე, შესაშური თვითდისციპლინა და ქცევის დაკანონებული ნორმების განუხრელი პატივისცემა, ესოდენ ძალუმად რომ ახასიათებთ ადგილობრივ მკვიდრთ (აქ მთელი დღის მანძილზე საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში შეიძლება ვერც კი შეხვდეთ ფორმიან წესრიგის დამცველთ), მათი გულითადობა, კეთილმოსურნეობა...

დიახ, მართლაც ბევრი რამ არის იქ საინტერესო და საყურადღებო. მაგრამ ესტონეთში ჩვენი ამყოფობიდან სამსახურებრივი მივლინების მიზანი მკითხველთათვის მხოლოდ ამ მშვენიერ რესპუბლიკასა და მის მშრომელ ადამიანებთან შეხვედრით მიღებული შთაბეჭდილებების გაცნობა კი არა, სულ სხვა რამ იყო...

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის III პლენუმზე სხვებთან ერთად მკაცრად და სამართლიანად გაკრიტიკეს რესპუბლიკის ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო იმისათვის, რომ იქ ჯეროვანი მონდომებით მომთხოვნელობითა და პასუხისმგებლობით არ იღვწიან მუშაობის გარდაქმნის, პროგრესული მოწყობილობა-დანადგარებით წარმოების აღჭურვა-განახლების, საწარმოო და სოციალური სფეროს საკითხთა კომპლექსურად გადაწყვეტის, დარგში მოკალათებული სხვადასხვა ჯურის საქმოსნებისა და თაღლითებისაგან სისტემის გაწმენდის, მეურნეობრიობის ახალ სისტემაზე გადასვლისათვის და, საერთოდ, ყველა იმ ნაკლის უთუო გამოსწორებისათვის, რომლებიც პრაქტიკულად შეუძლებელს ხდის სამინისტროს მასშტაბით წარმოების ეფექტიანობის ოპერატიულ ამაღლებასა და ნაწარმის ხარისხის რადიკალურ გაუჯობესებას.

ვფიქრობთ, ამ სამინისტროს ხელმძღვანელების, მშრომელებისათვის უთუოდ საინტერესო და სასარგებლო იქნება მათი ესტონელი კოლეგების მუშაობის გამოცდილების, საქმიანობის ფორმებისა და მეთოდების გაცნობა-გაზიარება. ისინი ხომ ერთ-ერთი საუკეთესონი და მოწინავენი არიან დარგში კავშირის მასშტაბით.

როდესაც მათს მუშაობას გავეცანით, ვესაუბრეთ სამინისტროს, აგრეთვე ცალკეულ საწარმოთა ხელმძღვანელებს, დავრწმუნდით, რომ აქ ადრეულ აუღიათ ალღო დროის მოთხოვნებისათვის, კუდში კი არ მიმყოლიან, არამედ მზარი უსწორებიათ მისთვის, სპეციალური მითითებების მიღებამდე დაუწყიათ მუშაობის გარდაქმნა, იმითავითვე უზრუნიათ საიმისოდ, რომ სისტემაში განუწყვეტლივ, შეუფერხებლად ახლდებოდეს წარმოების ტექნოლოგია, მოთხოვნილების მიხედვით იცვლებოდეს პროდუქციის ნომენკლატურა, უმჯობესდებოდეს მისი ხარისხი და დიზაინი, უკლებლივ ყველა საწარმოოეკონომიკური მაჩვენებელი.

„კომუნისტის“ რედაქციამ გადაწყვიტა რუბრიკით „გამოცდილების მისაზარეთები“ მოკლედ, რამდენიმე დამახასიათებელი კონკრეტული მაგალითის მოშველიებით გააცნოს ჩვენი რესპუბლიკის ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს მესვეურებს, მშრომელებს მათი ესტონელი კოლეგების გარჯის, დარგისადმი ხელმძღვანელობის, საქმიანობის სტილი, გზები და საშუალებები, რომელთა მეოხებითაც აღწევენ ისინი წარმატებებს (ჩვენი გაზეთის ფურცლებზე დროგამოშვებით დაიბეჭდება ასევე წარმოების ინტენსიფიკაციისა და მრავალცვლიანი მუშაობისათვის ლენინგრადში მიმდინარე საქმიანობის, აგრეთვე ბელორუსი მშენებლებისა და რკინიგზელების გამოცდილება, რომლებიც მოიწოლა სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, გაანალიზდება სუმის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების, ვოლგის ავტომობილების საწარმოო გაერთიანების მშრომელთა საქმიანობის ფორმები და მეთოდები, რომელთა გადმოღება-დანერგვის საჭიროებაზე გაამახვილა ყურადღება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის III პლენუმმა, და ა. შ.)

ახლა მოკლედ გაგაცნობთ ესტონეთის სს რესპუბლიკის ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს მშრომელთა წარმატებების განმაპირობებელი ბოლოდროინდელი გარჯის ამსახველ რამდენიმე განზოგადებულ მონაცემს, შემდეგ კი გესაუბრებით იმაზე, თუ რა და როგორ კეთდება მათი მოპოვებისათვის.

მასალები იხილეთ მე-2 გვერდზე.

საქმით განვამტკიცოთ სიტყვა

ლიტყვისა და საქმის, თეორიისა და პრაქტიკის განუყოელი ერთიანობა შეადგენ ყოველ საბჭოთა ადამიანების ყოველდღიური ცხოვრებისა თუ პრაქტიკული მოღვაწეობის ნებისმიერ დარგში, სფეროში, უპირველეს ადგილზე ნარმატებათა განმაპირობებელი ერთ-ერთი უტყუარი საწინდარი. ამიტომაც, მარქსიზმ-ლენინიზმის ფუძემდებელთა მოძიებულსაბამ, რომლებიც შეადგენ დიდ ყურადღებას უთმობდნენ ამ უმნიშვნელოვანეს საკითხს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, მისი ცენტრალური კომიტეტი განსაკუთრებით ზრუნავენ სიტყვის საქმით განმტკიცებისათვის.

„ყოველგვარი შეუთანხმებლობა ნათქვამსა და გაკეთებულს შორის, — ნაზგასმით აღინიშნა სკკპ XXVII ყრილობისადმი პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურ მოხსენებაში, — ენგრძ მთავარს — პარტიული პოლიტიკის ავტორიტეტს და ამდენად შეუფყნარებელია, რა ფორმითაც უნდა ვლინდებოდეს იგი. კომუნისტების პარტია სიტყვისა და საქმის ერთიანობის პარტიაა. ეს უნდა ახსოვდეს თითოეულ ხელმძღვანელს, თითოეულ კომუნისტს. სწორედ სიტყვისა და საქმის ერთიანობით იმსჯელებს საბჭოთა ხალხი ჩვენს მუშაობაზე“.

ეს საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია ახლა, საბჭოეთის კომუნისტთა უმაღლესი ფორუმის შემდეგ, რომელმაც ჭეშმარიტად ლენინური პირფთვნელობისა და გულახდილობის ვითარებაში გააანალიზა განეული მუშაობა, შეიმუშავა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების, სასიკეთო გარდატეხა-გარდაქმნების, მშრომელთა კეთილდღეობის განუხრელი ამაღლების მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციები.

და სწორედ მათი განხორციელებისათვის პარტიული ორგანიზაციების მეთაურობით მიმდინარე ნაყოფიერი მუშაობის შედეგია ჩვენს რესპუბლიკაში ამ ბოლო ხანს მოპოვებული გარკვეული წარმატებები. მაგრამ ეს არ კმარა, უფრო კონკრეტული, პასუხისმგებლური, დღევანდელობის მოთხოვნათა შესაბამისად ორგანიზებული შრომაა საჭირო ყრილობის გადაწყვეტილებათა უთუო ხორციშესხმისათვის. ამის საჭიროება თვალნათლივ წარმოჩნდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის III პლენუმზე, რომლის მონაწილეებმა პრინციპულად, საქმიანად, ყოველმხრივ განიხილეს წლევანდელი ზვიდი თვის მანძილზე რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგები და მესამე კვარტალის საგეგმო დავალებათა უცილობელი რეალიზაციის ღონისძიებანი.

საამისოდ განსაკუთებული და საფიქრალ-საზრუნავი კი მართლაც ბევრია. დაბალია წარმოების მოცულობის ზრდის ტემპი, სერიოზული შეფერხებებია სანთანო და სასკოლო შენებლობაში, კვლავ ბევრი პრობლემაა აგრომრეწვის სისტემაშიც — საფრთხეშია ხარისხოვანი ჩაის ფოთლის, ხილის დამზადების გეგმები...

ეს კი, ბევრ სხვა რამესთან ერთად, იმის შედეგიც არის, რომ ზოგან ამკარად ვერ აუღიეს ალღო დღევანდელობის მოთხოვნებს, ცალკეული პარტიული და სამეურნეო ხელმძღვანელები ჯეროვნად ვერ ფლობენ სიტუაციას და, ამდენად, ვერც მართავენ მას, ოპერატიულად და სათანადოდ ვერ რეაგირებენ ცხოვრების მიერ წამოჭრილ მტკივნეულ პრობლემებზე. ისინი არამეთუ არ გარდაიქმნებიან, არც კი იციან ჯეროვნად, თუ რა არის საჭირო საამისოდ, ზოგჯერ როგორ იძლევიან უსაფუძვლო დაპირებებს, შემდეგ კი ვერ რაზმავენ ადამიანებს დასახულის განხორციელებისათვის. სწორედ ესეც ქმნის იმგვარ სიტუაციას, როდესაც, როგორც ეს ამხანაგმა მ. ს. გორბაჩოვმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის წლევანდელი ივნისის პლენუმზე თქვა, „ვიწყებთ ფაქტებს, როცა სიტყვებით ცვლიან საქმეებს, როცა... სიტყვით ყველაფერი კარგად არის, რეალური ცვლილებანი კი არ ჩანს. ამის გამო გარდაქმნა უქმ ბრუნვაზე გადადის“.

სოლო ეკონომიკის დაჩქარებული განვითარებისათვის უქმი ბრუნვა კი არა, სრული დატვირთვი, მთელი სიმძლავრით, სწორედ დღევანდელობის მოთხოვნათა შესაბამისად მუშაობა საჭირო. როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, იქ, სადაც ამგვარად იღვწიან, შედეგიც კარგია. ამის დამადასტურებელია თუნდაც „საქმაღალდმრეწვის“ გაერთიანების კოლექტივის საქმიანობა, რომელიც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის III პლენუმზე დადებითად შეაფასა ამხანაგმა ჯ. ი. პატიაშვილმა.

მაგრამ, სამწუხაროდ, ყველა პარტიული კომიტეტი, პირველადი პარტორგანიზაცია, სამეურნეო ხელმძღვანელი როული მუშაობს ასე, ბოლომდე როდი მიპყვება საქმეს. ამის გამოც არის, რომ მათი სიტყვა და საქმე ხშირად სცილდება ერთმანეთს. ეს კი ქმნის ისეთ ატმოსფეროს, როდესაც შრომითს კოლექტივებში არამეთუ იქმნება ორგანიზებული, ინიციატივიანი მუშაობის, საქმის სასარგებლო ახალი თაოსნობების გამოჩენის პირობები, არამედ ზოგჯერ-უკვე მოწყნებული, დანერგული და აღიარებული ნამოწყებიც კი იკარგება.

ასე მოხდა, კერძოდ, ტყიბულის ორჯონიკიძის სახელობის შახტში, რომლის შრომელებმა შარშან სკკპ XXVII ყრილობის ღირსეული შეხვედრის მიზნით რესპუბლიკაში ერთ-ერთმა პირველებმა გამოიჩინეს ინიციატივა დეკეზით: „მთელი საწარმოო პოტენციალი — ლენინური პარტიის XXVII ყრილობას“! უნდა ითქვას, რომ ბევრი რამ გაკეთდა ამ თაოსნობის ხორციშესხმისათვის, რომელიც მოიწონა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის ბევრ შრომითს კოლექტივშიც დაინერგა. შედეგიც კარგი იყო: „ორჯონიკიძელებმა“ გადაჭარბებით შეასრულეს საყრილობოდ ნაკისრი ყველა ვალდებულება.

სავარაუდო იყო, რომ შახტის პირველადი პარტორგანიზაცია (მდივანი ზ. ბოჭორიშვილი), პარტიის საქალაქო კომიტეტი შემდგომშიც ყოველ ღონეს იხმარდნენ მოპოვებულის განმტკიცებისათვის, სათანადო იდეურ-აღმზრდელობითი, ორგანიზატორული მუშაობით შექმნიდნენ მომავალში უკეთ გარჯისათვის საჭირო პირობებს, ამრავლებდნენ წარმატებებს, მაგრამ ასე არ მოხდა. საქმის თითქმის თვითდინებაზე მიშვების სავალალო შედეგმაც არ დააყოვნა: მესამე საქმაღალოტაციო უმანმა, სადაც თაოსნობა იშვა, თანდათან დაიწყო კოჭლობა, ჩაშალა ქვანახშირის ამოღების გეგმები, უკვე ივლისის დასაწყისისათვის 803 ტონა ძვირფასი ნედლეული დაკარგა სახალხო მეურნეობას, თვით ინიციატორი ე. მერკვილაძე ეკ მარტის მიწურულს ისე წავიდა შახტიდან, რომ სამოლოო ანგარიშიც არ გაუსწორებია.

ასეთი რამ არ მოხდებოდა, პირველადი პარტორგანიზაცია, მისი ბიუროო მოწოდების სიმაღლეზე რომ ყოფილიყვნენ, ყოველი ღონე ეხმარათ სიტყვის საქმით განმტკიცებისათვის, პირადი მაგალითით დაერაზმათ და გაეყოლებინათ მშრომელები.

იგივე შეიძლება ითქვას თბილეთის რაიონის ჩეკურაანთგორის კოლმეურნეობის კომუნისტთა მისამართითაც. აქ სამეურნეო წლის დასაწყისში რიხიანად იკიხრეს გადიდებული ვალდებულებები, მაგრამ სიტყვას კონკრეტული საქმე ვერ მოაყოლეს — წლევანდელ ექვსთვიან შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით თითქმის 45 პროცენტით შემცირდა წველადობა, ხორცის წარმოება, საგრძნობლად გაუარესდა ხარისხი, კოლმეურნეობის საფინანსო-ეკონომიკური მაჩვენებლები.

ან კიდევ, ანა, პირველადი პარტორგანიზაციის წევრთა, მათ ნაწამალოლთა რომელ ინიციატივიან მუშაობაზე, მშრომელთა ნორმალური კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების პირობების შექმნისათვის ზრუნვაზე, საამისოდ პირადი მაგალითის ძალაზე შეიძლება საუბარი, კერძოდ, ონის რაიონის სოფელ შეუბაწში, რომლის შესახებაც წერდა „კომუნისტი“. აკ სავალალო მდგომარეობაშია კლუბი, ბიბლიოთეკა, სადაც სინათლეც კი არ არის. არადა, საჭიროა ულ ათიოდე შეტრი კაბელი, რათა იქვე მდებარე, საბაგვო ბაღიდან ბიბლიოთეკაში გადმოიყვანონ ელექტროსაზი. პირველადი პარტორგანიზაცია კი განზე დგას, ელოდება, თუ ვინ მოვა და მოაგვარებს ამ მარტივ საქმეს. და ეს მაშინ, როცა თვით პარტორგანიზაციის მდივანი ბ. ოდიანაძე პირფთვნელი ელექტრომონტიორია?!

სამწუხაროდ კიდევ მრავალი ანალოგიური ფაქტის ჩამოთვლა შეიძლება. არადა, საქმისადმი ამგვარი, ყოველდ მოუთმენელი და ეფექტურმლებელი მიდგომა სრულიად შეუწყნარებელია. საჭიროა ინიციატივიანი, ორგანიზებული შრომა, მუშაობის სტილის, ფორმებისა და მეთოდების გარდაქმნა, სიტყვისა და საქმის განუყოელი ერთიანობისათვის ბრძოლა. ნებისმიერი განეული საქმიანობის ეფექტიანობა ხომ მისი საბოლოო შედეგებით, კონკრეტული საქმით იზომება. ამას უნდა მიაქციონ განსაკუთრებული ყურადღება ყოველმა პარტიულმა კომიტეტმა, პირველადმა პარტორგანიზაციამ.

საქმეს გამოაჩინა

თბილისის კამვოლ-მაუდის კომბინატ „საბჭოთა საქართველოს“ კოლექტივმა, მიმდინარე წლის შვიდ თვეში მილიონ მანეთზე მეტი ღირებულების ზეგეგმიითი პროდუქცია გამოუშვა. მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შესრულდა რეალიზაციის გეგმაც.

ახალი ტექნიკისა და მუშაობის პროგრესული მეთოდების დანერგვით შრომის ნაყოფიერება 109 პროცენტამდე გაიზარდა.

საწარმოში ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება, რათა დიდი ოქტომბრის 70 წლისთავისათვის შეასრულონ ხუთწლედის ორი წლის დავალება.

სურათზე: სოციალისტური შეჯიბრების მოწინავე, საქსოვი საამქროს პირველადი კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი ნინო აბესაძე.

ი. შლამოვის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

გონიერება გაიმარჯვებს

საბჭოთა მორატორიუმი კიდევ ერთ შანსს აძლევს დასავლეთის პოლიტიკურ წრეებს გონს მოსასვლელად. უნდა შეიგნონ, რომ ატომური ომი უაზრობაა და რომ მასში ვერავინ გაიმარჯვებს, გვწამს, რომ სიკეთე კვლავ დათრგუნავს ბოროტებას, ნუთუ ვაშინგტონის ხელმძღვანელებს არ სურთ სიცოცხლე და აბსებობა? ძალები მშვიდობიანი თანაარსებობით გამოვცადოთ, კაცობრიობის ყველა შესაძლებლობა გამოვიყენოთ იმისათვის, რომ ყველამ ბედნიერად იცხოვროს. მშვიდობის დროს ხომ განსაცვიფრებელი მიღწევების მოპოვება შეიძლება. აბის პატარა მაგალითია ჩვენი საბჭოთა მეურნეობა. უკანასკნელ ხანს შევძელით სასიკეთო გარდატეხა მოგვეხდინა უკონომაკაში, წარმატებით დავაბიანავეთ პურეულის მოსავალი, მრავალწლოვანი ბალახების თესლიც საგეგმოზე გაცილებით მეტი იქნება. ვადაზე ადრე შევასრულეთ მეცხოველეობის პროდუქტების სახელმწიფოსათვის მიყიდვის შვიდი თვის დავალებანი. ეს იმან განაპირობა, რომ გაუმჯობესდა ჯოგის ჯიშობრივი შემადგენლობა, რომელსაც მთლიანად საკუთარი წარმოების საკვებით კვებავთ. დისციპლინა და კეთილსინდისიერი შრომა გახდა წარმატების საწინდარი.

სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების მატების სადღესასწაულო ამოცანების გადასაჭრელად, ცხადია, უპირველესია ხალისიანი შრომა, რომელიც მხოლოდ მშვიდობიანი ცხოვრების თანამგზავრია. მუყაითი გარჯით უნდა შევქმნათ დოვლათი და განვამტკიცოთ ჩვენი სამშობლოს ძლიერება.

პ. ხაბალაშვილი,
ცხინვალის რაიონის ხეთაგუროვის მეთესლეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი.

მშვიდობიანი გარჯა ჩვენი ძლიერების წყაროა

ახალ საბჭოთა სამშვიდობო ინიციატივებსა და საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობას მიეძღვნა პრესკონფერენცია, რომელიც საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტებისათვის გაიმართა 27 აგვისტოს მოსკოვში, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესცენტრში. მონაწილეობდნენ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ამერიკის შეერთებული შტატებისა და კანადის ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიკოსი გ. ა. არბატოვი, პრესის საგგეტოს „ახალი ამბების“ გამომცემლობის თავმჯდომარე ვ. მ. ფალინი, მშვიდობისათვის, ბირთვული საფრთხის წინააღმდეგ მებრძოლ მეცნიერთა კომიტეტის წევრი, აკადემიკოსი ვ. ი. გოლდანსკი.

შესავალ სიტყვაში გ. ა. არბატოვმა თქვა:

ჩვენ იმ გადაწყვეტილებათა ისტორიულ შესაყარზე ვართ, რომლებსაც მივიღებთ უახლოეს მომავალში. მათზე იქნება დამოკიდებული, ვივლით თუ არა შეიარაღების შემცირებისა და ნამდვილი უშიშროების უზრუნველყოფის გზით, ეს კი ჩვენს ეპოქაში პრაქტიკულად ერთმნიშვნელოვანი ცნებაა, თუ დაგვიდგება შეუზღუდავი გამალებული შეიარაღებისა და ნამდვილი ბირთვული ქაოსის პერიოდი. პრობლემა უდიდესი, რთული, უაღრესად მნიშვნელოვანია, და იგი უთუოდ იმსახურებს ბევრ პრესკონფერენციას, დისკუსიას, ფართო ღია დიალოგს.

საბჭოთა პოლიტიკა შეერთებულ შტატებში და დასავლეთის ზოგიერთ სხვა ქვეყანაში გახდა როგორც მთავრობის, ისე, სამწუხაროდ, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მასირებული დეზინფორმაციისა და საკმაოდ ავმზრახველი დამახინჯების ობიექტი. ბოლო საბჭოთა წინადადებები დუმილის ერთგვარ შეთქმულებასაც კი აწყდება.

აქ დუმილით უვლიან გვერდს ყოველივეს, რასაც ვამბობთ და ვაკეთებთ. ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციამ, როგორც ყველაფრიდან ჩანს, სერიოზულად მოჰკიდა ხელი მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს. ახლა ადმინისტრაციის გეზის მხარდაჭერა ან თუნდაც მის წინააღმდეგ გამოუსვლელობა ლოიალობის ერთგვარი შემოწმება გახდა და ამიტომ დუმილს ამჯობინებენ, ალბათ, იმის შიშით, რომ ბრალად დასდებენ ანტიამერიკანიზმს. რაც შეეხება თვით ამერიკის შეერთებულ შტატებს, იქ უშიშროების, საგარეო პოლიტიკის საკითხებში პრესა და ტელევიზია იმდენად მწირ ულუფაზე ყოფენ, რომ უჭირთ რაიმე თქვან გარკვეულად, თორემ ასე ხარბად არ ჩაებღაუჭებოდნენ ბატონ ლ. სპიქსის ყოველ სიტყვას.

რაც დრო გადის, მით უფრო ნათელი ხდება, რომ ბირთვულ აფეთქებათა შეწყვეტა მეორეხარისხოვანი ღონისძიება, პოლიტიკური ფესტი და უბრალოდ კეთილი ნების სიმბოლო კი არა, დიდი, უაღრესად მნიშვნელოვანი პრაქტიკული ნაბიჯია გამალებული ბირთვული შეიარაღების შეწყვეტისა და ბირთვული საფრთხის ლიკვიდაციის გზაზე. საქმე ის არის, რომ დღევანდელ ბირთვულ გამოცდებს არავითარი კავშირი არა აქვს შეკავებასთან, რითაც მათ ნიადაგ ამართლებენ, არავითარი კავშირი არა აქვთ იმ დეკლარაციულ დოკტრინებთან, რომელთა ერთგულებასაც ნიადაგ ფიცულობენ ამერიკის შეერთებულ შტატებში. უკვე დიდი ხანია გამოცდილი ბირთვული იარაღი იმდენი დაგროვდა, არათუ ერთიორად, არამედ ერთისამად, ერთიოთხად, ერთიხუთადაც რომ შემცირდეს, მაინც საკმარისი დარჩება შეკავებისათვის. თუ ამის შესახებ ჯერ კიდევ რაიმე ეჭვი არსებობდა, იგი უნდა გაქარწყლებულიყო ჩერნობილის კატასტროფის შემდეგ. არა, გამოცდები დღეს ეწყობა არა შეკავების იარაღის, არამედ ისეთი იარაღის შემქმნისათვის, რომლის მეოხებითაც აპირებენ აწარმოონ და მოიგონ ბირთვული ომი, ყველა ზეპირი და წერილობითი დეკლარაციის მიუხედავად. ეს არის, კაცმა რომ თქვას, გამოცდების განგრძობის ერთადერთი მიზანი. და შემო

გაეცნიდნენ მისამართებზე:

ესტონეთის სს რესპუბლიკა,
ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო

მხოლოდ ციფრები, ფაქტები...

ცნობილი აქსიომაა, რომ ნებისმიერი გაწეული საქმიანობის ეფექტიანობის საუკეთესო განმსაზღვრელი მისი საბოლოო შედეგებია. ამიტომაც მასალის ამ პატარა ქვეთავში მხოლოდ სწორედ საბოლოო შედეგების დამაფიქსირებელ რამდენიმე მონაცემს მოვიყვანთ, რადგან ფაქტი, მართლაც რომ, ჯიუტია.

ჯერ ყველაზე მთავარი განმაზოგადებელი ფაქტი: ესტონეთის სს რესპუბლიკის ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრომ მეთერთმეტე ხუთწლედში სამჯერ გაიმარჯვა საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში, ერთხელ კი მეორე ადგილი დაიკავა. დროის ამავე მონაკვეთში სამინისტროს საწარმოებში სასაქონლო პროდუქციის წარმოება 126,3 პროცენტით გაიზარდა, მატების 90 პროცენტი მიღწეულია შრომის ნაყოფიერების ზრდის ხარჯზე, რომლის მაჩვენებელი ხუთწლედში 124,3 პროცენტია.

საგრძნობლად, საშუალოდ 29 პროცენტით გაიზარდა კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სამეურნეო დანიშნულების, საყოფაცხოვრებო ქიმიის საქონლის, სათამაშოებისა და ნაძვისხის შოკაზმულობის წარმოება, 2,1-ჯერ კაპიტალდაბანდებათა მოცულობა, მათ შორის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებისა — 1,6-ჯერ, დამზადდა 2666 სახეობის ახალი ნაწარმი, ძირითადად სახალხო მოხმარების საქონელი, რომელთა გამოშვება და ხარისხის გაუმჯობესება შესაძლებელი გახდა ახალი ტექნოლოგიური პროცესების დანერგვამ, წარმოების მექანიზაციამ და ავტომატიზაციამ.

აი, ამის დამადასტურებელი რამდენიმე მონაცემი: მეთერთმეტე ხუთწლედის მიწურულს სამინისტროს სისტემაში მოქმედებდა 58 ნაკადურ-მექანიზებული და 63 ავტომატიზებული ხაზი, 1035 ავტომატური და ნახევრადავტომატური მოწყობილობა, რომლებიც ამ ხაზებში არ არის ჩართული; შეიქმნა 14 კომპლექსურ-მექანიზებული საამქრო და 40 უბანი, ძირითადი საწარმოო ფონდების აქტიური ნაწილის ხვედრითი წილი შეადგენს 58,1 პროცენტს. ყოველივე ამან კი სამინისტროს ხუთწლედის მანძილზე მისცა მილიონობით მანეთის ეკონომიკური ეფექტი, მძიმე ხელის შრომისაგან გამოათავისუფლა 1479 კაცი...

რაც შეეხება წლევანდელ მაჩვენებლებს, მდგომარეობა აქაც კარგია. ექვს თვეში დამზადდა 2,2 და გასაღდა 3,2 მილიონი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია, 7,6 პროცენტით გაიზარდა წარმოების მოცულობა და შრომის ნაყოფიერება, 1,4 პროცენტით შემცირდა ნაწარმის თვითღირებულება.

საქმის მდგომარეობაზე ზოგადი წარმოდგენის შესაქმნელად, ვფიქრობთ, ეს ციფრებიც საკმარისია. მაგრამ დასასრულ მაინც გვსურს მოვიყვანოთ ერთი მონაცემი, რომელიც, ჩვენი აზრით, ყველაზე მეტადრმეტყველურად მიანიშნებს ესტონელთა გამართულ მუშაობასა და სწორ საწარმოო პოლიტიკაზე: სამინისტროს მთლიანი პროდუქციის 80 პროცენტი რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ იგზავნება – (მისი საგრძნობი ნაწილი საზღვარგარეთ, ყველაზე განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებშიც მიდის) და, რაც მთავარია, სარგებლობს რა მომხმარებელთა მოწონებით, „დახლზე დიდხანს არ ჩერდება.

ამ ბოლო ციფრზე იმიტომ გავაკეთეთ განსაკუთრებული აქცენტი, რომ ნებისმიერი საწარმოს მუშაობის მთავარი ორიენტირი უწინარესად სწორედ მომხმარებელი, კონკრეტული ადამიანები, მათი მოთხოვნილებების შესწავლა-დაკმაყოფილება უნდა იყოს, და ანა საწყობისათვის მუშაობა, როცა მისი თაროები ვერ იტევს მხოლოდ მთლიანი პროდუქციის წარმოების გეგმის შესრულებას გამოდევნებულთა წუნიან ნახელავს, დღეს თითქმის არავის რომ არ სჭირდება და არ მოსწონს.

ხომ ძალიან ხშირად გაგვიგონია მავანი წარმოების მუშაკებისაგან — ცუდი მომარაგების, სუსტი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გამო, მთლიანი პროდუქციის დამზადების გეგმის უთუო შესრულებისათვის (სამწუხაროდ, ზოგიერთებისთვის ყველაზე მთავარ მაჩვენებლად და ხშირად თვითმიზნადაც რომ არის ქცეული) თვის, კვარტალის, წლის ბოლოს იერიშობანამ და სხვა მიზეზებმა შეიწირა ხარისხიო. ვერაფერი თავის მართლებაა. პირიქით, დანაშაულია, როცა მავანთა უხერხემლობის, უგერგილობისა და უპასუხისმგებლობის გამო ცვდება ძვირფასი დაზგა-დანადგარები, იკარგება დიდძალი ნედლეული, შრომითი თუ მატერიალური რესურსები, სასურველი შედეგი კი არ ჩანს— მომხმარებელი გაწბილებულია. ასეთი გეგმის შესრულება არავის სჭირდება.

სწორედ ამიტომ თამამად შეგვიძლია ვთქვათ — ესტონელთა მუშაობა ერთ-ერთი საუკეთესო დადასტურებაა იმ ფრთიანი გამოთქმის ჭეშმარიტებისა, რომ ვისაც მუშაობა სურს — საშუალებს ეძებს, ვისაც არა — მიზეზებსო. როგორღა ახერხებენ ესტონელები, რომ სისტემატურად, უიშვიათეს გამონაკლისის გარდა, წარმატებით გაართვან თავი ყველა მაჩვენებლის მიხედვით საგეგმო დავალებათა შესრულებას, გამუდმებით სრულყონ ტექნოლოგიური პროცესები და მომხმარებელიც მუდამ დაეძებდეს მათს ნახელავს?

გამართულ მუშაობაში ესტონელებს, ცხადია, ძალიან უწყობს ხელს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის საქმიანი დახმარება და სწორი ხელმძღვანელობა (როგორც სამინისტროში გვითხრეს, არ ყოფილა წარმოებისათვის მეტნაკლებად მნიშვნელოვანი რაიმე საკითხი, სასაკეთო წამოწყება, მათ უყურადღებოდ რომ დატოვებინონთ). მაგრამ ისიც ხომ ფაქტია, რომ დახმარებას გამოყენება უნდა, ნდობას — ძიება, ინიციატივიანი, პასუხისმგებლური გარჯა და, საერთოდ, ყველა იმ კომპონენტის ერთობლიობა, რომელთა გარეშე დღეს რაიმე წარმატებაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია.

მაინც როგორ, რის მეოხებით აღწევენ ისინი სასურველ შედეგებს, იმას, რომ ნომენკლატურაში მუდამ ჰქონდეთ თითქმის ყველა დონისა და გემოვნების მომხმარებლისათვის სასურველი ხარისხიანი და ესთეტიკური თვალსაზრისითაც ლაზათიანად დამზადებული ახალი ნაწარმი?

ჩვენ მაგივრად არავინ იმუშავებს

— **ლაკონიურად** გვიპასუხა ამ კითხვაზე ესტონეთის სს რესპუბლიკის ადგილობრივი მრეწველობის მინისტრმა ვილიარ ვესკიეალმა.

თითქოს გაცვეთილი და ტრაფარეტული სიტყვებია, მაგრამ ძალზე ყოვლისმომცველად კი გამოხატავს საქმისადმი სისტემის მშრომელთა დამოკიდებულებას, პოზიციას.

მოკლედ რომ ვთქვათ, აქ ასეთი პრინციპია: ხელმძღვანელთა დახმარება და კონტროლი ხელქვეითთა წჭრილმან მეურვეობაში არ უნდა გადაიზარდოს, ამ უკანასკნელთა ინიციატივა არ უნდა დაიჩლუნგოს. მინდობილ უბანზე ყველა რანგის მუშაკმა უნდა იმუშაოს სრული მონდომებით, ეძიოს უკეთ გარჯის გზები და პერსონალურად აგოს პასუხი საბოლოო შედეგებისათვის.

აქ საჭიროდ მიგვაჩნია ცოტა ხნით გადავუხვიოთ ძირითად თემას და მცირეოდენი განმარტება მივაწოდოთ მკითხველს ზოგიერთი მონაცემისა თუ ციფრის თაობაზე, რომლებსაც მასალაში უთუოდ დავასახელებთ, და რომელთა გამო შესაძლოა მავანმა და მავანმა ირონიაშერეული ღიმილით თქვას: — დალოცვილებო, სად ჩვენ, და სად ისინი, მერე რა, რომ ერთ სისტემაში ვმუშაობთ. აბა, ჩვენ შორის რომელ შედეგება-მსგავსებაზე შეიძლება საუბარიო.

გარკვეულწილად ზოგიერთს შეიძლება ჰქონდეს კიდეც ამის საფუძველი. საქმე ის არის, რომ ჩვენი რესპუბლიკისა და ესტონეთის ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროების შორის არსებითი ხასიათის განსხვავებაა როგორც რაოდენობრივი, ისე, თუ შეიძლება ითქვას, წარმოების სტრუქტურული აღნაგობის (იქ, ჩვენი აზრით, უფრო სწორად არის ფორმირებული და სწორადაც ვითარდება ეს დარგი) თვალსაზრისითაც. თუ, მაგალითად, ჩვენი სამინისტროს მთლიანი პროდუქციის 50 პროცენტი სამკერვალო ნაწარმის წილად მოდის, ესტონეთში ეს მაჩვენებელი ოთხი პროცენტია. თანაც ამ ნაწარმს, თითქმის მთლიანად გემოვნებით გაფორმებულ მრავალფეროვან ეროვნულ ტანსაცმელსა და მოკაზმულობას ძირითადად მხოლოდ შინმომუშავეები ამზადებენ.

ამასთან დაკავშირებით გვსურს ჩვენი აზრი გამოვთქვათ. შესაძლოა ვინმემ დილეტანტობაში ჩამოგვართვას, მაგრამ ერთი ანდაზისა არ იყოს — პური მეპურემ გამოაცხოსო — იქნებ უმჯობესი ყოფილიყო, სამკერვალო პროდუქცია ძირითადად მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს დაემზადებინა, რომლის კომპეტენციაში შედის ხალათების, ზეწრების, თუ მათი მსგავსი სხვა ნაწარმის დამზადება, ადგილობრივი მრეწველობის მუშაკებს კი თავიანთი პრობლემებისათვის მოეცლოთ, მეტი ეზრუნათ სახალხო მოხმარების იმ საგნების წარმოებისათვის, ასე ძალიან რომ სჭირდებათ მშრომელებს.

ესტონეთის ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს სისტემაში მთავარი დარგებია ქიმიური მრეწველობა და მანქანათმშენებლობა-ლითონდამუშავება. ამ განხრით მუშაობს ექვსი საწარმო, რომლებიც ამზადებენ სამინისტროს მთლიანი პროდუქციის 78,7 პროცენტს. შემდეგ მოდის სათამბრი მეურნეობა (ტორფის დამუშავება) — 12,4 პროცენტი, მინის წარმოება — 2,6 და სხვა დარგები — 2,3 პროცენტი (სამკერვალო ზემოთ აღვნიშნეთ).

ამ სამინისტროში მხოლოდ 14 საწარმო და საწარმოო გაერთიანებაა. (ისინი ამზადებენ რესპუბლიკური დაქვემდებარების სამრეწველო დაწესებულებათა მთლიანი პროდუქციის 66,6 პროცენტს), რაც ჩვენს ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით ძალზე პატარა ციფრია. მაგრამ თუ შედარებაზე მიდგება საქმე, უსაფუძოდ უნდა აღინიშნოს, რომ იქაურ, თანამედროვე საბჭოთა და საზღვარგარეთული დანადგარებით აღჭურვილ, ავტომატიზებულ და მექანიზებულ, მრავალრიცხოვან შრომით კოლექტივებიან საწარმოებთან შედარებით (ტარტუს პლასტმასის ნაკეთობათა საცდელ ქარხანაში, კერძოდ, ათას კაცზე მეტი მუშაობს, ბევრად მეტი მშრომელია დასამუშავებელი ტალინის პლასტმასის ნაკეთობათა საწარმოო გაერთიანება „სალვოში“, დედაქალაქშივე არსებულ საწარმოო გაერთიანება „ნორმაში“ კი 2320 მუშა და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის წარმომადგენელია. აღსანიშნავია ისიც, რომ მართო ეს სამი საწარმო წელიწადში 111 მილიონ მანეთისაზე მეტ ნაწარმს უშვებს), ადამიანს ჩვენი ზოგიერთი ქალაქისა თუ რაიონის ადგილობრივი მრეწველობის კომბინატი შეიძლება ერთობ პრიმიტიულადაც მოეჩვენოს...

წარმოების განვითარების ძირითადი და, რაც მთავარია, სწორი მიმართულების შემუშავებამ კი შესაძლებელი გახადა მართვის რაციონალური სისტემის შექმნა. თვით სამინისტროს აპარატი პატარაა (63 სპეციალისტი) და უმეტეს შემთხვევაში იგი ძირითადად მხოლოდ მაკოორდინირებელი ფუნქციებით იფარგლება, განსაზღვრავს მთელი სისტემის შემღგომი განვითარების სტრატეგიულ გეზს. წარმოებასთან დაკავშირებულ ყველა ძირითად საკითხს კი, იქნება ეს საზღვარგარეთულ ფირმებთან კონტაქტების დამყარება, კონსტრუქციული განახლება, ახალი ტექნიკის დანერგვა, ლიცენზიების, მოწყობილობების შეძენა თუ სხვა, თვით საწარმოები წყვეტენ.

— აქამდე ამ საკითხებს, ამბობს მინისტრი, ჩვენი სამინისტროს საპროექტო-ტექნოლოგიური და სამხატვრო-საკონსტრუქტორო ინსტიტუტი აგვარებდა, მაგრამ პრაქტიკით დავრწმუნდით, რომ ასე არ ივარგებდა. საწარმოებისათვის მეტი დამოუკიდებლობა და ინიციატივის გამოჩენის საშუალება უნდა მიგვეცა.

სხვას რომ თავი დავანებოთ, უბრალო ფსიქოლოგიური მომენტია: როცა კაცი გრძნობს, რომ სხვა დაწესებულებაში მჯდომმა კი არ უნდა იზრუნოს მისი მშობლიური საწარმოსათვის მნიშვნელოვანი პრობლემების გადასაწყვეტად, ან ზემოდან კი არ უნდა ელოდოს მითითებას, არამედ თვითონ იზრუნოს საამისოდ, როცა მან იცის, რომ მარტო სიტყვით კი არა, საქმითაც ნამდვილად არის მდგომარეობის ბატონ-პატრონი, პერსონალურად აგებს პასუხს შექმნილი მდგომარეობისათვის, მაშინ მას მეტი ძიების, შემოქმედებითი გარჯის სურვილი უჩნდება, თითქოსდა გარდაიქმნება.

ამიტომაც ჩამოვართვით ინსტიტუტს ზემოაღნიშნული ფუნქციები. უფრო მეტიც, გავაუქმეთ კიდეც მისი ახალი ნაწარმის შექმნისა და დანერგვის განყოფილება, და ამაზე ზრუნვა უშუალოდ საწარმოებს დავაკისრეთ. განა ბევრად უფრო უარიანი და მართებული არ არის, რომ ამ ნაწარმის შექმნისა და ხარისხზე მისმა უშუალო მწარმოებელმა იფიქროს? ამჟამად ინსტიტუტში ფუნქციონირებს მხოლოდ ისეთი განყოფილებები, რომლებიც საწარმოებს არა აქვთ. ახლა იგი წყვეტს, მაგალითად, რეკლამის, სხვადასხვა გამოფენის მოწყობის, შეფუთვის, დიზაინის, პატენტირების, მოწყობილობათა დაპროექტების, საწარმოთა მცირემასშტაბიანი რეკონსტრუქციის საკითხებს და ა. შ.

მაგრამ იმისათვის, რომ საწარმოებმა გამართულად იმუშაონ, სრულად გამოიყენონ თავიანთი დამოუკიდებლობა, გამოიჩინონ ინიციატივა და მომხმარებლის სურვილის გათვალისწინებით აითვისონ ახალი ნაწარმის გამოშვება, აუცილებელია სათანადო აღჭურვილობა, სხვადასხვა ტვიფრები, ყალიბები. იმ მიზნით, რომ ამ მხრივ საგრძნობი შეფერხებები არ გვქონოდა, შევქმენით აღჭურვილობათა ცენტრალიზებული დამამზადებელი ქარხანა „პიონერი“. იგი ითვისებს ახალ ნიშუებს, გამოუშვებს მათს პირველ საცდელ კომპლექტს, რომლებსაც, თუ გამართლდა, შემდეგ თვით საწარმოები დაამზადებენ სერიულად. მომდინარე ხუთწლედში გადაწყვეტილი გვაქვს გავაორმაგოთ აღჭურვილობათა დამზადება, რადგან უამისოდ შეუძლებელია ბაზრის მოთხოვნათა შესაბამისად ნაწარმის ნომენკლატურის სწრაფად შეცვლა-განახლება.

თუმცა, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის თანამედროვე ეტაპზე, როცა ნებისმიერი დარგის წინაშე, რომელიც სერიოზულად ფიქრობს წარმატებათა მოპოვებაზე, მთელი სიმწვავით დგება ოპერატიული ტექნიკური განახლების, პროგრესული ტექნოლოგიის დანერგვის, საწარმოო სიმძლავრეთა გაზრდისა და მაქსიმალური ათვისების, მშრომელთათვის ნაყოფიერი გარჯის და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, კეთილსინდისიერი მუშაობის შემდეგ ნორმალური დასვენება-გართობის, ჯეროვანი საყოფაცხოვრებო მომსახურების პირობების შექმნის საკითხი, სათანადო სამშენებლო ბაზის გარეშე შეუძლებელი თუ არა, ყოველ შემთხვევაში, ძალზე ძნელი ფონს გასვლა. არადა, ამ მნიშვნელოვან საქმეში არც მთლად სხვისი, კერძოდ, მშენებლობის სამინისტროს იმედით ყოფნა ვარგა. ამან შეიძლება დაგაბრკოლოს, შეგაფერხოს.

ამიტომაც განსაკუთრებული ყურადღება დავუთმეთ საკუთარი სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებას, რაც საშუალებას გვაძლევს ოპერატიულად განვაახლოთ საწარმოები, განვახორციელოთ რეკონსტრუქცია, კაპიტალური შეკეთება, აგაშენოთ სხვადასხვა დანიშნულების კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტები. გადაწყვეტილი გვაქვს ამ ხუთწლედში გავაორკეცოთ მისი სიმძლავრეები, რათა იშვიათი გამონაკლისის გარდა, საერთოდ არ ვიყოთ დამოკიდებული მშენებლობის სამინისტროზე, ეს საშუალებას მოგვცემს უფრო ეფექტიანად და მეტი უკუგებით გამოვიყენოთ კაპიტალდაბანდებანიც.

რაკი სიტყვა კაპიტალდაბანდებებზე ჩამოვარდა, უნდა ითქვას ისიც, რომ ახლა ვცდილობთ სხვადასხვა წვრილმანი პრობლემების მოგვარებისათვის ზრუნვისას კი არ დავკსაქსოთ, არამედ მთელი სისტემის მასშტაბით მნიშვნელოვანი რომელიმე საკითხი მოვაგვაროთ, ვთქვათ ამა თუ იმ კონკრეტული საწარმოს წინაშე მდგარი ამოცანები გადაეწყვიტოთ კომპლექსურად და, ამდენად, უფრო ეფექტიანად გამოვიყენოთ სახსრები.

გასულ ხუთწლედში ასე მოვიქეცით, მაგალითად, ლითონდასამუშავებელი ქარხნის „ვაზარის“ (ჩაქუჩი) მიმართ. ამ საწარმოსაგან მეათე ხუთწლედში, უპირველესად, მხოლოდ გეგმების შესრულებს მოითხოვდნენ, მისი ახალი ტექნიკით აღჭურვა-განახლების მტკივნეული პრობლემების მოგვარებისათვის ზრუნვით კი დიდად არ იწუხებდნენ თავს. ქარხანასაც, რომელმაც ბოლოს და ბოლოს ამოწურა თავისი შესაძლებლობები, გაუჭირდა. კომპლექსურად შევისწავლეთ იქ შექმნილი მდგომარეობა, დავსახეთ მისი გამოსწორების ღონისძიებები და სამინისტროსათვის გამოყოფილი თითქმის მთელი კაპიტალდაბანდებანი მათს განხორციელებას მოვახმარეთ, თუმცა ვიცოდით, რომ მეთერთმეტე ხუთწლედში ქარხნისაგან ვერავითარ უკუგებას ვერ მივიღებდით. ამან თავისი ნაყოფი გამოიღო. ახლა საწარმო უკვე გამართულად მუშაობს და ერთ-ერთი საუკეთესოა სამინისტროს მასშტაბით.

და სიტყოდ, როგორც პრაქტიკამ დაგვარწმუნა, მხოლოდ დღევანდელობის მოთხოვნილებებით, ერთი ხუთწლედის გეგმებით, პერსპექტივის გაუთვალისწინებლად მუშაობა უკვე არ შეიძლება. ამ მიზნით სამინისტროს კოლეგიაზე მოვისმინეთ ყველა საწარმოს ხელმძღვანელთა ანგარიშები, თუ რა გზით, როგორ აპირებენ ისინი განვითარებას, რაში სჭირდებათ დახმარება, რა უნდა გაკეთდეს საამისოდ. ამის საფუძველზე შემუშავებულია საწარმოთა განვითარება, გასაყიდი საბითუმო თუ საცალო ფასიც, რაც ნაწარმის კარგ ხარისხთან ერთად უზრუნველყოფს მის კონკურენტუნარიანობას საგარეო ბაზარზე...

მეორე პრინციპზე საუბრისას ძალუნებურად კვლავ გაგვახსენდა მასალაში ერთხელ უკვე მოყვანილი ცნობილი ჭეშმარიტება — ვისაც მუშაობა სურს... და ესტონეთის ადგილობრივი მრეწველობის მინისტრის სიტყვები — ჩვენ მაგივრად არავინ იმუშავებს...

მართლაც, როგორ ახერხებენ ესტონელები, მუდამ ერთ-ერთმა პოზიციებმა და თანაც სისტემატურად გამოუშვან ისეთი ახალი ნაწარმი, რომელიც მანამდე არავის დაუმზადებია საბჭოთა კავშირში? ამაში, ცხადია, დიდ როლს ასრულებს კარგი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, სათანადო ტრადიციები და ბევრი სხვა კომპონენტიც, მაგრამ უთუოდ არც მინდობილი უბნისათვის თითოეულისა და ყველას, ნებისმიერი რანგის მუშაკის პასუხისმგებლობის, საქმის სიყვარულისა და ერთგულების, სპეციალობის პრესტიჟის პატივისცემის, გამუდმებული ძიების, სასიკეთო სიახლეების, თანასწორხათვის მუდმივი, ქმედითი მხარდაჭერის და სხვა ფაქტორების გამორიცხვა იქნება სწორი.

იქნებ არც იყოს ტიპური და დამახასიათებელი, მაგრამ ამასთან დაკავშირებთ მაინც გვსურს მოვიყვანოთ ერთი მაგალითი, რომელიც, ჯფიქრობთ, საკმაოდ ასახავს ჩვენი რესპუბლიკის ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს მუშაობის სტილს.

ამ ორი-სამი წლის წინათ პარტიის ერთ-ერთი რაიონული კომიტეტის პირველ მდივანს შევხვდი. საუბარი ადგილობრივი მრეწველობის კომბინატზე ჩამოვარდა. ჩვენი თანამოსაუბრე შეწუხებული ჩანდა. თურმე რაიონში სპეციალური ქვის დიდი კარიერისათვის მიეკვლიათ, რომლისგანაც შენობათა საუცხო მოსაპირკეთებელი მასალა მზადდება (დღევანმა გვაჩვენა კიდეც თავის კაბინეტში რამდენიმე ნიმუში). გარდა ამისა, ლოდების დახერხვისას დარჩენილი ნამსხვრევ-ნატეხები გამოდგებოდა სამშენებლო ბლოკების დასამზადებლად, რომლისთვისაც ინერტული მასალა მანამდე მეზობელი რესპუბლიკიდან შემოჰქონდათ, რაც საგრძნობლად აძვირებდა ნაწარმის თვითღირებულებას.

კარიერის ათვისებას, რომელიც უთუოდ მოიტანდა სარგებელს, აღზრდისა და განაწილების გარკვეული სისტემა, რეგულარულად ეწყობა ატესტაციები. ამ დროს ვცდილობთ პრინციპული ვიყოთ— თუ მუშაკი ატესტაციისას ვერ გამოავლენს დღევანდელობის მოთხოვნათა შესაფერ ცოდნას, უნარს, აღარაფერს ვამბობ მის კეთილსინდისიერებასა თუ ზნეობრივ სახეზე, მისგან დაუყოვნებლივ ვთავისუფლდებით. კადრების შერჩევისას ვცდილობთ აქცენტი ძირითადად ნიჭიერ ახალგაზრდებზე გადავიტანოთ (ამჟამად სამინისტროს საწარმოთა დირექტორების, მთავარი ინჟინრების, წამყვანი სპეციალისტების საშუალო ასაკი 40-45 წელია), გონივრულად შევიურწყათ მათი ენერგია და ენთუზიაზმი ძველი სპეციალისტების გამოცდილებას. ეს ჩვენი სახელმძღვანელო პრინციპია.

როგორც აღვნიშნეთ, საწარმობს დიდი უფლებები და დამოუკიდებლობა მოეცეთ. ეს ცხადია განუზომლად ზრდის საქმის მდგომარეობისათვის მათი ხელმძღვანელების, კერძოდ, დირექტორების პასუხისმგებლობას. მაგრამ დღეს მათდამი მარტო მომკითხველობის გაზრდით ფონს ვერ გახვალ. საჭიროა ინიციატივიანი, ნიჭიერი ხელმძღვანელების მორალური და მატერიალური წახალისების პროგრესული ფორმების დანერგვაც, რა თქმა უნდა, მხოლოდ მათი მუშაობის საბოლოო შედეგების მიხედვით. საბედნიეროდ მართვისა და მეურნეობრიობის ახალი სისტემა გვაძლევს ამის საშუალებას. ჩვენც უმალ გამოვიყენეთ იგი.

წლევანდელი პირველი იანვრიდან ივნისის ჩათვლით თითხმეტივე საწარმოს დირექტორს, საშუალოდ 100 მანეთის ოდენობით გავუზარდეთ ანაზღაურება. ეს გავაკეთეთ ექვსი თვით მხოლოდ იმიტომ, რომ ყოველმა დირექტორმა უნდა იცოდეს: დამატებითი ანაზღაურება მუდმივი სარგო კი არა, კარგი გარჯისათვის წახალისების და მომავალში უკეთ მუშაობისათვის განწყობის ეფექტიანი საშუალებაა. კარგად იმუშავებ? — კვლავ ახალი ვადით მოგეცემა დამატებითი ანაზღაურება. ვერ გამოიჩენ ფხას? — მოგეხსნება. ახლახან, როდესაც ექვსი თვის შედეგები შევაჯამეთ, ორ დირექტორს მოვუხსენით მისი მიღების უფლება.

მაინც, როგორია მათი მუშაობის შეფასების კრიტერიუმები, რომელთა გათვალისწინებითაც იღებენ ისინი ამ დამატებით ანაზღაურებას? მათ, ცხადია, კვლავაც მოლიანად უნდა აგონ პასუხი საწარმოში არსებული მდგომარეობისათვის, მაგრამ ამასთან ერთად, როდესაც ნახალისების ამ ახალი ფორმის დანერგვაზე ვფიქრობდით, ყოველი საწარმოსათვის შეგიმუშავეთ საშუალოდ ოცპუნქტიანი ღონისძიებების გეგმა, რომელშიც ყველა მნიშვნელოვანი საწარმოო მაჩვენებელია გაერთიანებული. მათგან ერთ-ერთი მთავარია პროგრესული ტექნიკისა და ტექნოლოგიის გრაფიკით გათვალისწინებულ ვადებში დამონტაჟება. ახალი მოწყობილობა არც ერთი წუთითაც არ უნდა ცდებოდეს და ფუქდებოდეს საწყობსა თუ ღია ცისქვეშ. ღონისძიებათა გეგმის შესრულების მიმდინარეობას ყოველთვიურად ვამოწმებთ.

აღსანიშნავია, რომ დამატებითი ანაზღაურება მხოლოდ დირექტორებს მივეცით, სხვებს არა (შიდასაწარმოო შეჯიბრების მეწინავეებს ისინი თვითონ წახალისებენ თავიანთი ფონდიდან). და კიდევ; ეს 100 მანეთი მხოლოდ ნახევარია იმ თანხისა, რომლის გაცემის უფლებაც მინისტრს აქვს დამატებითი ანაზღაურების სახით. ვინც თავს გამოიჩენს, შეუძლია 200 მანეთიც მიიღოს. ეს დამატებითი სტიმულია საწარმოთა ხელმძღვანელებისათვის.

სამინისტროში პრაქტიკულად ზრუნავენ იმისთვისაც, რომ ანაზღაურებაში არ იყოს ეგრეთ წოდებული გათანაბრების პრინციპი, როცა ნიჭიერიც და ბედოვლათიც ერთნაირ გასამრჯელოს იღებს. ბევრი რამ კეთდება ინჟინრის შრომის პრესტიჟის ამაღლების, წარმოების წინაშე მდგომი პრობლემების გადასაჭრელად მათი დაინტერესებისათვის.

აქ ძალიან სწორად და პრაქტიკულად უდგებიან საკითხს. ვთქვათ ინჟინერი, როგორც სპეციალისტი, ერუდირებული, პროგრესულად მოაზროვნე, მაძიებელი, როგორც იტყვიან, მოუსვენარი გონების მქონე პიროვნებაა, მაგრამ არა აქვს ორგანიზატორული უნარი და ამის გამო ვერ გამოდგება, მაგალითად, საამქროს უფროსად. იმავე საწარმოში დასაქმებულ მეორე ინჟინერს, რომელიც საამქროს კოლექტივს უდგას სათავეში, შეუძლია ადამიანებთან მუშაობა, მათი დარაზმვა-გაყოლიება და, თუმცა აზრის სიცინცხლით ვერ გამოირჩევა, თანამდებობრივი მდგომარეობის გამო პირველთან შედარებით მეტი ხელფასი აქვს. ორივე კატეგორიის ასეთი მუშაკები თითქმის ერთნაირად სჩირდება და აუცილებელია დღევანდელი წარმოებისათვის, მაგრამ საწარმოს წინსვლის ერთ-ერთი მთავარი განმაპირობებელი ფაქტორი ხომ დამუხტული და მაძიებელი ინჟინრული გონია. ამიტომ, თვლიან სამინისტროში, საქმე ისე უნდა აეწყოს, რომ იმ, თუ შეიძლება ითქვას, უთანამდებობო ინჟინერს, რომელიც მუდამ ახალ იდეებს აწვდის წარმოებას, ხელს უწყობს პროგრესს, ჰქონდეს ინიციატივისა და უნარის სრულად გამოვლენის საშუალება და [illegible] ქროს უფროსზე არანაკლები ხელფასიც. აქ მთ უფრო დაუშვებელად მიაჩნიათ, რომ ნიჭიერ ინჟინერს ძალზე ხშირად, თუნდაც ერთობ კვალიფიციურ მუშაზე ნაკლები ანაზღაურება აქვს.

აქ, ვფიქრობთ, საინტერესო გამოსავალს მიაგნეს. ყოველ საწარმოში შექმნეს ნიჭიერი, მოაზროვნე ინჟინრების სპეციალური ჯგუფები, რომელთა წევრები თავიანთი უშუალო სამსახურებრივი მოვალეობების შესრულების პარალელურად მუშაობენ მნიშვნელოვან, პრობლემურ საკითხებზე, „ვიწრო უბნებზე“, ნერგავენ სიახლეებს, აჩქარებენ პროგრესს.

აი, მხოლოდ ერთი კონკრეტული და სხვებთან შედარებით თავისი მასშტაბით უბრალო მაგალითი: ტარტუს პლასტმასის ნაკეთობათა საცდელ ქარხანაში, რომელიც სამინისტროში ერთ-ერთი საუკეთესო საწარმოა ყველა მაჩვენებლით, მათ შორის ავტომატიზაციისა და მექანიზაციის მიხედვითაც, ამოქმედდა ახალი საწყობი, სადაც ნედლეულს იღებდნენ როგორც ტომრებით, ისე გროვებად. საწყობიდან საამქრომდე ტომრებში ჩაყრილი ნედლეული (დღე-ღამეში საშუალოდ იხარჯება 30 ტონა) მიტანა, ბუნკერში ჩაცლა საკმაოდ შრომატევადი და ძნელი პროცესი იყო. თანაც ტრანსპორტირებისას ცელოფანის ტომრები ხშირად იხეოდა, სხვადასხვა ღირსების ნედლეული (დღე-ღამეში საშუალოდ იხარჯება 30 ტონა) მიტანა, ბუნკერში ჩაცლა საკმაოდ შრომატევადი და ძნელი პროცესი იყო. თანაც ტრანსპორტირებისას ცელოფანის ტომრები ხშირად იხეოდა, სხვადასხვა ღირსების ნედლეული ერთმანეთში ირეოდა, რაც საბოლოოდ ნაწარმის ხარისხს აუარესებდა.

ავტომატიზაციისა და მექანიზაციის უბნის ხუთმა მუშაკმა გადაწყვიტა ამ საქმის მოგვარება. ადმინისტრაციასა და მათ შორის გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც ჯგუფის წევრებს ექვს თვეში, ძირითადი სამუშაოსგან მოუწყვეტლად მექანიზებული უნდა გაეხადათ ეს პროცესი. საამისოდ თითოეული მათგანი ყოველთვიურად ხელფასის გარდა დამატებით მიიღებდა 40-50 მანეთს, კვარტალურ პრემიას, აგზნება-გართობას, ჯანმრთელობის დაკაკვების, „ბოთ საკუთაცხოვრებო მომსახურების პირობათა გაუმჯობესების საკითხებს კი მეათეხარისხოვან საქმედ თვლიან, ლაპარაკიც ზედმეტია სტაბილურ [illegible] — [illegible] ბლებზე. [illegible] ესტონეთის [illegible] ბლ სამინისტროში, სადაც ამ ორივე მნიშვნელოვანი პრობლემის მოგვარებას მუდამ კომპლექსურად უდგებიან, ამასვე ითვალისწინებს მისი ყველა ქარხნისა თუ საწარმოო გაერთიანების მიხედვით 2000 წლამდე პერიოდისათვის შემუშავებული სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმები.

შედეგიც კარგია. მაგალითისათვის ავიღოთ თუნდაც ივანე ტარტუს ქარხანა. აქაური მშრომელების სამსახურშია შესანიშნავი სასადილო, საუცხოოდ გაფორმებული ბარი, კლუბი, დიდებული საავტო დარბაზი, ქიმფენსები, ფეხსაცმელების შემკეთებელი სახელოსნო, სპორტიმახერო, საკონდიტრო, სადაც შეუძლიათ სახლისთვისაც შეუკვეთონ ტკბილეული... როგორც ქარხნის მთავარმა ინჟინერმა ჰელენურმ კალიუმ გვითხრა, საწარმოში მშრომელთა სოციალურ-კულტურული პირობების გაუმჯობესებას ყოველწლიურად თითქმის მილიონი მანეთი ხმარდება.

